დანართი №5. სერვისი

წინამდებარე დადგენილების თანახმად, სერვისის სახეებია:

1. თსუ/საფაკულტეტო კოლეგიური ორგანოს წევრობა (ფაკულტეტის საბჭოს წევრი/მდივანი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, დარგობრივი სადისერტაციო სექციის თავმჯდომარე, დარგობრივი სექციის წევრი/მდივანი, თსუ აკადემიური საბჭოს წევრი, თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, საბიუჯეტო კომისიის წევრი, სამივლინებო კომისიის წევრი, მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი, სააპელაციო კომისიის წევრი, სასტიპენდიო კონკურსების კომისიის წევრი, კრედიტების აღიარების კომისიის წევრი, თსუ-ს გაცვლითი პროგრამის შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრი, დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე/წევრი, აკადემიური ეთიკის დამდგენი კომისიის წევრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი (არაანაზღაურებადი), თსუ-ს/ფაკულტეტის ადმინისტაციის ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი, კოლეგიური ორგანოს დადგენილებით შექმნილი კომისიის/კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის წევრი);
2. საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდაჭერა (საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ლექციების წაკითხვა/საჯარო ლექციები, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებაში/თვითშეფასებაში მონაწილეობა, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ტრენინგების/ვორკშოფების ჩატარება);
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა (არასასწავლო აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა - კონკურსები, ოლიმპიადები, ორგანიზება, კონსულტირება, სასწავლო - სამეცნიერო დეპარტამენტის/ინსტიტუტის/კათედრის/ცენტრის/ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო - კვლევითი ან სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელობა (არაანაზღაურებადი), ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების/კონფერენციების საორგანიზაციო/სამეცნიერო კომიტეტის წევრობა და/ან ორგანიზება, საერთაშორისო ან ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა/საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა თსუ-ს სახელით, სამეცნიერო ჟურნალის/საიუბილეო კრებულის რედაქტორობა/სარედაქციო კოლეგიის წევრობა, მუდმივმოქმედი სამეცნიერო-სასწავლო სემინარების ხელმძღვანელობა,

ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის წევრობა, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელობა);

4. ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული არაანაზღაურებადი საქმიანობა, მათ შორის: შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში არაანაზღაურებადი საქმიანობის დაკავება - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპეციალისტი; ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული პროექტების მომზადება და განხორციელება; ონლაინ საგანმანათლებლო საქმიანობების მომზადება და ადმინისტრირება, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების/კურსების ორგანიზება; აუდიო-ვიზუალური სასწავლო მასალის შექმნის ხელშეწყობა, ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალის ინდივიდუალური მხარდაჭერა საგანმანათლებლო პრაქტიკაში ელექტრონული და/ან შერეული სწავლების დასანერგად; ელექტრონული სწავლების მონიტორინგი და შეფასება, სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის მოვლა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

5. სხვა სახის აქტივობები (მაგალითად, ფონდების მოძიება, სამეცნიერო კომერციალიზაციის ხელშეწყობა და ა. შ.).